



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაჰეში საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הַמְנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ


03010
(თამუზი-აბი)
№10 (368)
(5772)
2012

“הַמְנוֹרָה”

עֵתוֹן יְהוּדִי

בַּגּוֹרֵה

სტუმრებს დედანი



საქართველოს საისტორიო არქივში აღმოჩნდა ჩვენი დიდი მგოსნის ხელნაწერი (სსა.საქმე 7467, საქ.1) „ქართველი ებრაელების ლეგენდა“ სათაურით „დავითის გვირგვინი“, დათარიღებული 1897 წ. მისი ხელნაწერი თავად აკაკის გადაუცია გამომცემელ ვასილ ბეჟანიშვილისთვის. ლეგენდა ბიბლიური შინაარსისაა, დაწერილია ლამაზი კალიგრაფიით და ხუთ გვერდს მოიცავს. ცნობილია თუ როგორი სიყვარულით მოიხსენიებდა აკაკი ებრაელებს თავის ნაწარმოებებში. ქართველი ებრაელებიც ასევე უდიდეს პატივს სცემდნენ მას. საკმარისია ითქვას, რომ აკაკის გარდაცვალების დროს, 1915 წ. საჩხერ-

ელმა და ქუთაისელმა ებრაელებმა სალოცავში მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს და ეს ინფორმაცია პრესაში გაავრცელეს. 1897 წელს გამოცემულ „დავითის გვირგვინში“ აღწერილია დავით ნინას-ნარმეტყველის გამეფების ისტორია.

აღნიშნული ლეგენდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული იუდაიკის ცენტრში უკვე ითარგმნა ებრაულ ენაზე (მთარგმნელი პროფ. მ. ბუცხრიკიძე) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს სასაჩუქრე გამოცემის მომზადება.

პროფ. ბ. ლორთქიფანიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი რუსი ებრაელების იმ სიას შუქრთდა...

ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი შეუერთდა რუსი ებრაელების იმ სიას, რომლებიც ნეთანიაში წითელი არმიის მეომრების მემორიალის დადგმას აფინანსებენ. მემორიალის ირგვლივ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შემსწავლელი ცენტრის შექმნა იგეგმება. „გახარებულე ვართ, მიხეილ მირილაშვილი რომ შემოგვიერთდა და ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი გახდა იმ პროექტისა, რომელსაც რუსეთის ებრაელობა რუსეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობის განვითარებაში წინ გადადგმულ უზარმაზარ ნაბიჯად მიიჩნევენ. მას ბევრი იდეა აქვს იმის შესახებ თუ რისი გაკეთება შეიძლება ნეთანიაში“, — განუცხადა პორტალ „იზრუსს“ რუსეთის ებრაელთა კონგრესის მეთაურმა იური კანერმა.



იური კანერმა ასევე აღნიშნა, რომ შევიდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ოფიციალურ დელეგაციაში, რომელიც მემორიალს გახსნის. „ეს დიდი პატივია როგორც რუსეთის ებრაული კონგრესისათვის, ისევე ჩემთვის. ამას გარდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ჩვენი დელეგაცია ორჯერ — დაახლოებით 30 კაცამდე გაიზრდება. მემორიალის სპონსორების გარდა ისრაელში ჩავლენ რუსეთის ვეტერანული ორგანიზაციის წარმომადგენლები, საუბარია წითელი არმიის მეომრებზე“ — აღნიშნა კანერმა.

როგორც პორტალი „იზრუსი“ იტყობინება, პროექტის მთავარი სპონსორი ებრაული წარმომავლობის ხუთი რუსი მაგნატი: ჰოლდინგ „ალფა-ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე — მიხაილ ფრიდმანი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული ნავთობკომპანიის — ТНК-ВР აღმასრულებელი დირექტორი — გერმან ხანი, მთიელ ებრაელთა საქველმოქმედო ფონდის СТМЭГИ პრეზიდენტი — გერმან ზახარაევი, საფინანსო კომპანიის „Открытие“ თანამფლობელი — ბორის მინცი და კომპანიის Alltech Investment თანამფლობელი — დიმიტრი ბოსოვი.

მემორიალის გახსნა

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ისრაელში ჩასვლისთანავე აეროპორტიდან ნეთანიისკენ, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის მემორიალის გასახსნელად, გაემართა, სადაც შეკრებილი იყვნენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები — იტყობინება NEWSru.co.il.. ცერემონიაში ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმაც მიიღო მონაწილეობა.



ცერემონია შ. პერესის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა არმიის დიდი წვლილი ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში. შემდეგ პუტინი გამოვიდა და ისრაელის ხალხს თავისი მხარდაჭერა გამოუცხადა.

ნეთანიაჰუსა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა შედგა. სავარაუდოდ, განხილვებოდა ორმხრივი ურთიერთობის საკითხები და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, სირიაში, ირანსა და ეგვიპტეში მიმდინარე სიტუაცია.

შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზეც რუსული დელეგაციის წარმომადგენლები და ისრაელელი მინისტრები იმყოფებოდნენ.

25 ივნისს საღამოს სტუმრების საპატივსაცემოდ პრეზიდენტის კანცელარიაში გაიმართა საზეიმო ვახშამი, რომელსაც პერესი და ნეთანიაჰუც ესწრებოდნენ. სპეციალურად პუტინისთვის „რუსული საღამო“ გაიმართა: კულტურული პროგრამის მთავარი ნაწილი შედგებოდა ისრაელურად დამუშავებული რუსული სიმღერებისგან, რომელთაც თეატრ „გეშერის“ მსახიობები ასრულებდნენ.

პრეზიდენტის კანცელარიიდან რუსი სტუმრები სასტუმროში „King David“ Jerusalem გაემართნენ, რომელიც მათი ვიზიტის განმავლობაში სხვა სტუმრებს არ იღებდა. სტუმრების ნაწილისთვის იერუსალიმის სხვა სასტუმროების ნომრებიც იყო დაჯავშნილი.

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა ორი დღე გაატარა.

სემ კონგრესის პრეზიდენტი თბილისში



ივნისის მესამე დეკადაში თბილისში ოთხ დღეს იმყოფებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირილაშვილი.

პრეზიდენტის ჩამოსვლის მიზანი გახლდათ, საქართველოს ებრაელთა წინაშე არსებული პრობლემების გაცნობა და მათი დაძლევის გზების ძიება. ამ მიზნით იგი გახლდათ თბილისის ქართველ ებრაელთა, ბეთ ქნესეთში, შეხვდა საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელს ავიმელეს როზენბლატს, ქართველ ებრაელთა სალოცავის გაბაის ფირუზ კოჩობაშვილს, მის მოადგილეს ი. აჯიაშვილს და ოთარ წინუაშვილს, მთავარ ხახამს დავიდ აზიზოვს, საქართველოს ებრაელთა კავშირის გამგეობის წევრებს, თავმჯდომარეს მერაბ ჩანჩალაშვილს და სხვებს. ამ შეხვედრებზე პრეზიდენტს მოახსენეს, თუ რა საკითხებია მოსაგვარებელი თემში.

სემკ-ის პრეზიდენტს თავის კოლეგებთან ერთად განზრახული აქვს ქართველ ებრაელთა დიდი ბეთ ქნესეთისათვის შეიქმნას მუდმივი შემოსავლის წყარო, რომელიც ბეთ ქნესეთს საშუალებას მისცემს სრულად დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნები.

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა კონფლიქტურ სიტუაციებზე. განხილული იქნა წინადადება კონფლიქტურ მხარეთა შორის მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე:

ყველა დაპირისპირებულმა მხარემ შეწყვიტოს დაპირისპირება, შემდეგ კი მშვიდ ვითარებაში განხილული იქნას საკითხი.

სემ კონგრესი თანამშრომლობის აუცილებელ პირობად აყენებს თემის წევრთა მშვიდობიან თანაარსებობას.

შოთა გოსტანაშვილი — შემოქმედებითი ცხოვრების ქრონიკა

მამას

სალამი მამა!
 გილოცავ დაბადების დღეს,
 ნელს - უკვე - ასს.

გიგზავნი ჩემ ბენო მიწას
 და ჩემ დაწურულ ცას;
 ჩემ შექურბულ ნათელს და
 ჩემი ჭების წყალს, -
 მოგონებებს რო რწყავს,
 (ან/და: ხსოვნას რო არ კლავს).

ამასთანავე გიგზავნი:
 ცოტა მზეს,
 ცოტა მთვარეს
 და რამდენიმე ვარსკვლავს;

ხეს,
 ბალახსა და ყვავილებს,
 თავთავებს,
 ჩემშივე ნარგავს -
 - გეცნობა -
 - სხვებისას არ გავს.

სამყოფია ალაგი,
 მოზრდილია გვალაგი
 და ყველაფერს იტევს:
 ჩემი კარვის კრავებს,
 ჩემი ავზის თევზებს,
 ჩემი ცი/ხი/ს ჩიტებს...

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ №26(78)
19.12.2008

რახელს

რახელ, რა ხილვა მეახლა მე ახლა:
 რახელ, რამხელა გამხდარხარ, რახელ!
 რახელ, რა ხანი გასულა...
*ასულა სულა
 მარსის მინდორზე, მეფეთა გვერდით
 და იქ ქანდაკად დგას.*

რახელ, რა ხელად გავიდნენ წლები,
 წყლები დაინრიტენ, რახელ...
 რახელ, რა ხელი-ხელ დაგყავდი,
 ხელჩაკიდებული, რახელ!

ხარანი ხარ ჩემი გზების,
 ჩემი გზების,
 ჩემი ვნების საყუდარი რახელ!

რახელ, რა ხელმოკლედ ვცხოვრობდით,
 ხელმწიფესავით მივლიდი, რახელ!
 რახელ, რა ხილით ივსებოდა შენი ხალთა - კალათა, კალთა;
 რა ხილილო ხარ, რახელ!

რახელ, რა ხე იდგა შენს ეზოში,
 ის ხე კეთილი ვნახე...
 ხელკეთილი ხარ, რახელ!

რახელ, რა ხეხილის ბალი...
 რა ხელით, რა გულით დარგული, რახელ!
 რახელ, რა ხმაა ნაბალარიდან?..
 ან რომელი გახმინდა?..
 ანდა იქნა,
 რო მელის ხმა გახმა, ანდა...

ხმა შენში იყო და ცა ციაგი...
 აქ ხმაურია...
 აქ ცა რუხია, რახარუხია, რახელ!
 აქ არხილია, მზე მიილია, რახელ!
 აქ არხანია რახანია, რახელ!

რახელ, რა ხელს მყრის მე ეს ჩივილი
 ჩვილი გულისთვის (შენ რომ გაქვს), რახელ!
 რა ხელობა მაქვს? - რახელობა მაქვს რახელ!
 რახელ, რა ხელში ჩაგაბერდი...
 რახელ, რა ხანი გასულა...
*ასულა სულა...
 ქორო:
 ან გააძევეთ სულა,
 ანდა ჩვენ წავალთ სულაც!*

ხო ხედავ ვხედნი ბედსა და ბედაურს...
 ნახე რა ხელი ვარ რახელ;
 რახელ, რახსი დავრახტე და
 კოხტა ახტაც მოხტის რახელ!..
 რახელ, რიხით ვახმინებ:
 რახელმა გამზარდა, და მერე რა ხელმა?!..
 ქებათ-ქება სახელს - რახელს!

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ №6(162) 23.03.2012

ძ/ალიანი ალიონი

სიზმარი ცისაა...
 კაი სიზმარი ნახო, წყალს არ მოუყვე -
 არ გაატანო;
 მართალია ცის განაყოფია, მაგრამ...
 სიზმარი **ოფია** - ხეა,
 ისედაც ცისკენ მიიწევს,
 მიწას მოუყევი იმ წამს -
 შეერევა, შე/გენახება;
 სიზმრებით უდგას სული მიწას.
 თუ ქალიანი სიზმარი ნახო,
 ქალიდან არ გამოუშვა,
 შეეზრდება, შე/გენახება;
 იქნებ არქეოლოგმა იპოვოს,
 შეისწავლოს და ლექსი დაწეროს.
 თუ **ნერვეულობ**, რვეულს უთხარი ეულს,
 მარტოა, გაეხარდება -
 მოუთხრე,
 მოთხარე მიწასავით და შიგ ჩარგე მა-
 რტოა სიზმარი...
 სიზრქეც თუ ეყო მიწის და ცის
 ნებაც იქნა
 იქნებ კვირტიც გამოისხას,
 იქნებ გვირტიც მოხიბლოს, რო
 ცას ამბავი მიუტანოს.
 ...
 დედა ვნახე...
 ჩემი ტატა - თამარა
 თეთრი კვართის ამარა,
 უდაბნოში მატარა...
*ჩემო ბიჭო პატარა,
 მე წყალი ვარ - წყალობა,
 შენ ხარ ჩემი მათარა...*

ის მეღვრებოდა, მე ვჯიუტობდი:
 არა თამარ, რა მათარა?..
 მერე ვეღვრებოდი,
 მერე ვიმღვრეოდით,
 მიმოვმღვრეოდით: **არათამარამათარა...**
 ...
 ვნახე მალქა ბაბო,
 ჩემი ლუბა და რაია
 და მეზობლის ქალები:
 შენმა ბიჭმა აღმართები აიარა რაია!
აიარარაია...
 - ა, იარა რაია!
 - აი, არა რაია...
 აი (არარა)ია
აი ია
 ...
ია მანანას მივეცი.
 ჩემი და ვნახე წუხელ - მანანა.
 ...
 ... და ვნახე წუხელ წუხდა მარია:
რამ მოგიყვანა, მზეცოტაობამ?
 მაშინ მინოდა მარიამ **შაბა**
ლაბა უნოდა მარიამ **ჩემ ხეს**
 ... და ავშრილდი...
 მარიკელებმა **მჩეხეს და მჩეხეს...**
რა გინილადო? - მკითხა მარიამ.
 მე მზეს შევხედე - აი **რა** მარია!
 და ჩამეღვარა - **აირამარია...**
 აი რამ ამრია
 და ჩავეღვარე - **აირამარია...**
 აი რამ აგვრია,
 მიმოვიღვარეთ - **აირამარიაირამარია...**
 ...
 ახლოს ძალიან ალიონია - ალიონია...

ხელმარჯვე მსროლელებზე ამბობენ ხოლმე: ტყვიას ტყვიამი სვამენო.
 ხელმარჯვე სტილისტებზეც გადაუტანიათ ეს გამონათქვამი: სიტყვას სიტყვაში სვამენო.
 პოეტური ეკვილიბრისტიკისათვის ეს სულაც მხატვრული ხერხი თუ მეთოდია, რასაც შემოქმედნი
 განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და მკითხველსაც აგულიანებენ ამ თავისებურებაში გარეგ-
 ნულ ეფექტზე მეტად ღრმა აზრის საპოვნელად.
 ამ მანერას უმთავრესად მიმართავენ გროტესკული, პაროდული, ირონიული, იუმორისტული გან-
 ნყობილების შესაქმნელად, თუმც არც დრამატიზმია უცხო ამგვარი სტილისტიკისათვის. სწორედ ეს
 მიდრეკილებაა ნიშანდობლივი პოეტისა და არქიტექტორის შოთა ბოსტანაშვილისათვის, ვინც მიზან-
 დასახულად ცდილობს თავის ლირიკულ ტექსტებში მოარიგოს ეს ორი გატაცება და ლექსის გარეგ-
 ნული აგებულებაც და სიტყვათა ფიქრულ-კულური ბრუნვა-ტრიალი თუ ერთმანეთში შეჭრაც ისეთ გა-
 მომსახველობად აქციოს, მის პოეტურ ჩანაფიქრს ყველაზე უკეთ რომ წარმოაჩენს.
 მოჩვენებითია შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსები მხოლოდ თვალთა ნაიკითხებოდეს, ზეპირად
 წარმოთქმისას კი ეფექტი აკლდებოდეს. ყოველთვის, როდესაც მოგვისმენია ბატონი შოთას დეკლამა-
 ცია, დავრწმუნებულვართ, რომ „არქიტექტურული პოეზია“ ტრიბუნასა თუ სალონურ გარემოსაც
 ჩინებულად ეთვისება.


რედაქცია
ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 1(105), 08.01.2010

რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეხიჯი თემა ქაითუე მნეხილობაში

იოანე ბატონიშვილის „ხუმარსნავლა“ („კალმასობა“)

(წერილი მესამე)



XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი მესამედის ცნობილი მწერლის, მეცნიერის, მწიგნობარ-განმანათლებლისა და სახელმწიფო მოღვაწის იოანე ბატონიშვილის (1768-1830) ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოები „ხუმარსნავლა“, რომელიც უფრო „კალმასობის“ სახელითაა ცნობილი, მრავალფეროვან ცნობებს გვანდის მეცნიერების თითქმის ყველა სფეროდან. უზარმაზარი მოცულობის ამ უნიკალურ ნიგნში მალაპროფესიულადაა გადმოცემული როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ისტორია და თანადროული ყოფა. ასეთი მიზანდასახულობის მქონე ნაშრომის ავტორი უყურადღებოდ, ბუნებრივია, ვერც ებრაელი ხალხის წარსულთან და თანამედროვეობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს მომენტებს დატოვებდა და მათზეც მიანვდიდა მკითხველს სათანადო ინფორმაციას. როგორც ნიგნში წარმოდგენილი ებრაული საკითხების განალიზებით ვრწმუნდებით, მწერალი საფუძვლიანად იცნობდა ებრაელთა ისტორიას, სარწმუნოებასა და ყოფა-ცხოვრებას და მათ შესახებაც გვანდის უაღრესად საგულისხმო ცნობებს.

„ხუმარსნავლის“ ე. წ. ებრაულ ფრაგმენტებში მსჯელობის უმთავრეს საგნად პირველ ყოვლისა, ძველი აღთქმიდან ფართოდ ცნობილი ის მოვლენებია ქცეული, რომლებიც ებრაელი ხალხის ისტორიის სისხლხორცულ ნაწილსაც წარმოადგენს. ეს ყველაფერი ნაწარმოებში ებრაელი ხალხისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობით განწყობილი იმ ადამიანის მიერაა მოთხრობილი, ვინც ცდილობს მკითხველსაც ჩაუხერგოს და გაუძლიეროს ანალოგიური გრძნობა.

ნაწარმოებში ძველი აღთქმიდან მოყვანილი სიუჟეტური ეპიზოდები, რომლებშიც ებრაელი ხალხის ბიბლიური შვილების ცხოვრებისეული ამბებია მოთხრობილი, მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნიან ისრაელის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებზე. ნათქვამის დასტურად თუნდაც ეგვიპტეში ებრაელთა ტყვეობისა და მონობისაგან მათი გათავისუფლების ამბავი გავიხსენოთ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეგვიპტელთა ტყვეობაში მყოფმა ებრაელებმა

მონობას ღვთის მფარველობით დააღწიეს თავი. ძველი აღთქმიდან კარგად ცნობილი ამ ეპიზოდის გახსენებით მწერალი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის იმ სირთულეებზე, რომელთა გადალახვაც აღთქმული მინისაკენ მიმავალ ებრაელებს მოუხდათ მოსეს წინამძღოლობით. მისი აზრით, ეგვიპტელთა „მონებისა და მუშაკობისაგან ეშმაკისა და ცოდვათაგან“ ისინი, უპირველეს ყოვლისა, „ღმერთმა იხსნა საუკუნოდ“.

სწორედ ასეთი ღვთაებრივი მფარველობის ძალით გაუძლეს მათ უდაბნოში ორმოცწლიან ხეტიალს და უსაფრთხოდ დააღწიეს თავი დასახოცად გამოდევნებული ეგვიპტის ფარაონის რისხვას.

ებრაელთა უძველესი ისტორიის თხრობა მწერალმა მათი რელიგიის ფუძემდებლური პრინციპების განმარტებასაც დაუკავშირა. მიუხედავად იმისა, რომ „ხუმარსნავლა“ ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად მიზანმიმართული ნაწარმოებია, ავტორი რელიგიური ფანატიზმით შებოჭილი პიროვნება არ არის და ებრაელთა სარწმუნოების მიმართაც გამოხატავს თავის ხაზგასმულად პატივისცემულ დამოკიდებულებას. სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ის შეფასებები, რომელთაც იგი მოსეს ათ მცნებასა და „მრავალთა სხუათა კანონთა“ აძლევს.

„ხუმარსნავლაში“ იმ გარემოებასაც არაერთგზის ესმება ხაზი, რომ ებრაელთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრაგედიის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად, უპირველეს ყოვლისა, მოსეს ღვთაებრივი მცნებებისადმი ღალატი და გაორგულება იქცა.

ებრაელთა უძველესი ისტორიის მოთხრობის დროს მწერალი განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს დავით წინასწარმეტყველსა და მის მიერ დაწყებული დიდი საქმეების გამგრძელებელს — სოლომონ ბრძენს. სამწუხაროდ, სოლომონის სიკვდილის შემდეგ ისრაელის სახელმწიფოს ძლიერებას საფუძველი გამოეცალა და ქვეყანა ორ სამეფოდ გაიყო.

ებრაელთა სახელმწიფოში განვითარებულ ამ ტრაგიკულ მოვლენებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI ს-ში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დამხობა, სოლომონის დიდი ტაძრის დანგრევა და მშობლიური მიწიდან ებრაელთა აყრა და განდევნა მოჰყვა. ფართოდ ცნობილი ამ მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ი. ბატონიშვილი ჭეშმარიტი ღვთისაგან ებრაელთა განდგომასა და ცრუმონუმენტების ტყვეობაში მოქცევას მიიჩნევს.

ნაბუქოდონოსორმა მის მიერ აოხრებული იერუსალიმიდან ბაბილონში „წარასხნა ტყვედ

ყოველნი ერნი იერუსალიმისანი და სრულიად იუდეანნი“. მისი სურვილი იყო დატყვევებულ ებრაელებს „თაყუანი ეცათ კერპისა მისთვის“, მაგრამ ამის გაკეთება ვერაფრით შეძლო, რადგანაც ტყვედ შეპყრობილმა იუდეველებმა გულში „მტკიცედ დაიმარხეს ჭეშმარიტის ღვთისა მსახურება ყოველი ნათესავითურთ თვისით“. როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნულ ტრაგედიას ი. ბატონიშვილი ებრაელთათვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითშეგნების განმამტკიცებელ იმ მოვლენად მიიჩნევს, რომელმაც მათ გონების თვალნი აუხილა.

ებრაელთა უძველესი ისტორიიდან ამგვარი ამბების მოთხრობით ი. ბატონიშვილი მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის იმ გმირულ თავგანწირვაზე, რის შედეგადაც ებრაელებმა ათასგვარ განსაცდელს გაუძლეს და ეროვნული თვითმყოფადობა და რელიგიური რწმენა შეინარჩუნეს.

„ხუმარსნავლაში“ ორიოდე სიტყვა საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლების შესახებაცაა ნათქვამი. კერძოდ, ი. ბატონიშვილის ინფორმაციით, „ბაამან სპარსთა ხელმწიფისაგან ტოლვილი ბერძენნი და ურიანნი“, რომლებიც „სახლეულობითა თვისითა მოვიდნენ“ ქართლს, „შეინყნარეს ქართველთა და დასახლნეს ადგილებთა შინა, მათათა და ბართა, და აღივსნეს ცარიელნი ადგილნი. აგრეთვე ისნავეს ამათგან სხვადასხვა ხელსაქმნარნი“.

როგორც დამონებული მაგალითებითაც დარწმუნდება მკითხველი, ი. ბატონიშვილის ნიგნში ებრაელთა ისტორიიდან ძირითადად საყოველთაოდ ცნობილი ამბებია მოთხრობილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ხუმარსნავლა“, უპირველეს ყოვლისა, ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებია, ამაში მოულოდნელი არაფერია. ნიგნის დაწერის უმთავრესი მიზანი ხომ მკითხველისათვის ინფორმაციული მასალის მიწოდება იყო და არა მეცნიერული გამოკვლევა.

აქვე ერთ გარემოებასაც მინდა გაესვას ხაზი: „ხუმარსნავლის“ ებრაულ ეპიზოდებში ძალზე ცოტა რამაა ნათქვამი საკუთრივ ქართველ ებრაელთა შესახებ, რაც სრულიად აუხსნელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ამ აშკარა ხარვეზის მიუხედავად, იოანე ბატონიშვილის ნიგნი, როგორც ზოგადებრაული ისტორიული ყოფისა და რელიგიის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის მომწოდებელი ნაშრომი, მაინც უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ ქართული ებრაისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად.

ებრაული საერთაშორისო თავყრილობები

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ ყურადღებას აქცევს ებრაული სამყარო ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საკითხს — მიმდინარეობს დიდი მუშაობა არა მხოლოდ რელიგიური, არამედ დარგობრივი, პროფესიული განათლების გაღრმავებისა და გაძლიერებისათვის. ამ დიდ მოძრაობას სათავეში უდგას შრომის საყოველთაობის გავრცელების ორგანიზაცია, იგი მეურვეობს ებრაული ახალგაზრდობის შრომაში ჩაბმის საერთაშორისო მოძრაობას. ეს მოძრაობა წარმოიშვა რუსეთში ს. პოლიაკოვის ინიციატივით. მის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბარონი გ. ბინცბურგი, ლ. როზენტალი და ნ. ბაკსტი.

ამ საზოგადოების მიზანი გახლდათ და ეს მიზანი უცვლელი რჩება, ებრაელობის ეკონომიკური გაძლიერება. გაძლიერება კი ახალგაზრდობის აღზრდით იწყება.

სწორედ ამ საკითხებზე გახლდათ დიდი მსჯელობა 3-5 ივნისს ვაშინგტონში გამართულ გენერალური ასამბლეის სხდომაზე.

სიტყვა წარმოსთქვა მოძრაობის პრეზიდენტმა ა. გინცბურგმა, საზოგადოების საქმიანობაზე ვრცლად ისაუბრა საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა რ.

ზინგერმა. საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ ა. გინცბურგმა გაიმარჯვა.

გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდნენ მწერალი გურამ ბათიაშვილი და ისრაელის საელჩოსთან არსებული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი თაფლიაშვილი.

17-18 ივნისს იერუსალიმის სასტუმრო „დან იერუსალიმში“ გაიმართა ევრაზიის ებრაული კონგრესის რიგგარეშე გენერალური ასამბლეა. გენერალურმა ასამბლეამ განიხილა ერთ მთავარი საკითხი: ახალი პრეზიდენტის არჩევა.

ჩვენ უკვე ვიწყებოდით, რომ კონგრესის ადრინდელი პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი მოუცლელობის გამო თანამდებობიდან გადადგა ეაე კონგრესის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად არჩეული იქნა უკრაინელი წარმომოხის ისრაელელი ოლიგარქი ვადიმ შულმანი.

გენერალურ ასამბლეაზე ვადიმ შულმანმა ისაუბრა იმაზე თუ, როგორ ხედავს იგი კონგრესის მომავალს,

უახლოეს წლებში თუ რა საკითხები იქნება პრიორიტეტული. გენერალური საბჭოს წევრებს აინტერესებდათ კარგად გაეცნოთ ადამიანი, რომელიც კონგრესის ხელმძღვანელი უნდა გახდეს, ამიტომ სრულიად სხვადასხვა საკითხის გასარკვევად მრავალი შეკითხვა დაუსვეს.

გენერალურ ასამბლეაზე სიტყვები წარმოსთქვეს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა, ქნესეთში ლიკუდის ფრაქციის თავმჯდომარე ზევ ელიკინმა, ევრაზიის კონგრესის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა, „სოხნუთის“ თავმჯდომარე ნათან შარანსკიმ, ევრაზიის ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა, მსოფლიოს ებრაული კონგრესის გენერალურმა დირექტორმა დენ დაიკერმა და სხვ.

საპრეზიდენტო კენჭისყრისას ვადიმ შულმანი, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩეული იქნა ერთხმად.

გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვ. აჯიაშვილი (საქართველო), გურამ ბათიაშვილი (სემკ), ელენა ბერკოვიჩი (საქართველო).

ნება, იცოდეთ, როგორ ძნელია!

ნება იცოდეთ, როგორ ძნელია ამ სტრიქონების ნერა; ნება იცოდეთ, როგორ ძნელია იმ ჭეშმარიტების მტკიცება, რაც არაერთ თაობას გაუხდია საკუთრად და ამით ყველაფერი იქვე დამთავრებულა, რადგან ჭეშმარიტების აღიარებას არავითარი პრაქტიკული ქმედება არ მოჰყოლია. ნება იცოდეთ, როგორ გრძელდებოდა ყოველივე ეს წლების განმავლობაში, თაობიდან თაობამდე — ყოველივე ეს მაგონებს სკოლაში ნასწავლ „ვინ შეაბამს კატას ეფვანს“. ალბათ, ბევრმა თქვენგანმა იცის, როგორ მთავრდება ეს იგავი. სწორედ ამიტომ არის: ბევრი კარგი წამოწყება იქვე, იდეაშივე კვდება იმის გამო, რომ ამ იდეას უფრო მეტი სკეპტიკოსი უჩნდება, ვიდრე მხარდამჭერი. სწორედ აქ იჩენს თავს იდეის მხარდამჭერთა პრინციპულობა, საქმისადმი ერთგულება, პატიოსნება და, რაც მთავარია, შენი ხალხის, შენი ერის, წინაპრებისა და სარწმუნოების პატივისცემა.

ვინ იცის, რამდენი ვინმე უყურებდა სოფელ ბანძის ებრაელთა სასაფლაოს შემოკავებას სკეპტიკურად, რამდენი ღვარძლიანი რამ ითქვა ამ კეთილშობილური საქმის მოთავეების მისამართით. მაგრამ დრომ თავისი აჩვენა — დღეის მდგომარეობით ბანძის ებრაელთა სასაფლაო ერთ-ერთი კარგად დაცული და მოვლილია მთელ საქართველოში. ან განსვენებულმა სასიქადულო ქველმოქმედმა ბადრი პატარკაციშვილმა თბილისის დამპალოს სასაფლაოს შემოსაღობად თანხა გამოგვიყო. აი, მაშინ უნდა გენახათ „თავგამოდებული ერისკაცების“ ბოლისა და შურის კორიანტელი, მაგრამ მათთვის ჩვენ არ გვეცალა, ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით დაკავებულნი და ვხელმძღვანელობდით პრინციპით: „ძალი ყფეს, ქარავანი

ვიტოვებთ, რომ მათს მაგალითს ბევრი მიმბაძველი ეყოლება.

ამ ფონზე, ნება, იცოდეთ, რა ძნელია, „წარმატებული ბიზნესმენი“, იმის მაგიერ, რომ საქციელი მოგიწონოს და დახმარების ხელი გამოგიწოდოს, „პიონერივით“ დაგაყენებს და დაგიწყებს ტვინის გამორეცხვას — აქაოდა „წარმატებული ბიზნესმენი“ ვარო — რატომ არ მკითხებ, იქნებ, უფრო იაფად გაგაკეთებინებდი, თუჯის სხმულის მაგიერ ბეტონის ფილებს ან ბლოკის კედელს ავაშენებდიო. ის კი არ იცის, რომ სასაფლაოს ბლოკით აშენებული ლობე დაშალეს ლტოლვილებმა და ბლოკები თავიანთი ბინების კეთილმოწყობას მოახმარეს. მართალია, „წარმატებულია“, მაგრამ ის არ ახსოვს, რომ ყველაფერი იაფი რომ უფრო ძვირია.

როგორ ვიფიქროთ, 1900-იან წლებში თბილისში მცხოვრებმა ახალციხელმა ებრაელებმა რატომ გააჭიანურეს მთელი 10-12 წელიწადი დიდი სინაგოგის მშენებლობა, ხომ შეეძლოთ, „სწრაფად, იაფად, ხარისხიანად“ აეშენებინათ სინაგოგა? მაგრამ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, იაფად რომ კარგი აშენდეს. ალბათ, ახალციხელებით ფიქრობდნენ ონელები, ბანძელები, ქუთაისელები და შთამომავლობას ხელთუქმნელი სალოცავები დაუტოვეს. რატომ არ უნდა მივბაძოთ მათ?

ნება, იცოდეთ, ყოველივე ამის მიუხედავად, როგორ ძნელია, საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ შენთვის უცნობი პიროვნებები დარწმუნდნენ შენი წამოწყებული საქმის კეთილშობილებაში — შენ ხომ იმას აკეთებ, პრაქტიკულად, რასაც ისინი მომავალ თაობებს მოუწოდებენ, რომ „ყველა ებრაელი, შესაძლებლობის ფარგლებში, ვალდებულია, აწარმოოს ქველმოქმედება, ახსოვდეს თავისი

ფესვები“ (ციტატა გაზეთ „წამიდან“). რა ხსოვნაზე და პატივისცემაზე შეიძლება იყოს საუბარი, თუ ჩვენი წინაპრების, ჩვენი „ფესვების“ განსასვენებელი ლობე შემორღვევულია და პირუტყვის სათარეშოდაა ქცეული. შეიძლება მავანმა გვითხრას, თბილისის დამპალოს სასაფლაოზე არავინ მყავს დაკრძალულიო, მაგრამ ჩვენ ხომ აქ არ ვჩერდებით. თუ ღმერთმა ინება და ისე როგორც ბანძის და დამპალოს ქვედა ნაწილის შემოკავებისას პირნათელი გამოვედით, შემდეგ გადავინაცვლებთ სურამში, აწყურში, მუხრანში, კულაშა და სუჯუნაში, ცხაკაისა და თვით სოხუმშიც კი, სადაც ერთი ჩემთვის ახლობელი ადამიანის, ყოფილი რუსთავის კოლონიის ტუსაღის, ბორია შამილაშვილის საფლავი მეგულება. მე მის საფლავს განსაკუთრებით მოვუვლიდი და მოვეფერებოდი იმიტომ რომ, ცხოვრების უკუღმართობით, სხვა საფლავებთან შედარებით, მეტისმეტად დაგვმორდა.

ნება, იცოდეთ, როგორ ძნელია, როგორ დამცირებულად იგრძნობ თავს, როდესაც ვილაცხას ჰგონია, რომ შენ მთხოვენი ხარ. არა, მე მთხოვენი არა ვარ, მე დავაფუძნე არასამწარმეო არაკომერციული ფონდი „წინაპართა ხსოვნა“ და მეამაყება კიდევ, რომ ასეთი საშვილიშვილო საქმე ვითავე ერთმა ახლობელმა გამაფრთხილა: — სოსო, თუ შენ ეს საქმე წამოიწყე პირადი განდიდებისათვის, ამ საქმეში აცლახა (წარმატება) არ გექნება და თუ ლემემ შამიამ (ღმერთის სახელზე) აკეთებ, ყოველ ნაბიჯზე გამჩენიც და ხალხიც შენს გვერდით იქნებაო. ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო. არა, მე არ ვკარგავ იმედს, მიწობილი ვარ გამჩენზე და მწამს გავიმარჯვებ, კეთილი და გულმონყალე ადამიანების დახმარებით. ურთიერთდახმარება და გვერდში დგომა ჩემს ხალხს სხვისგან არ ესწავლება და მე ამის იმედიც მაქვს, მით უმეტეს, რომ ისრაელში ყოფნისას ბატონ შოთა კეხერაშვილთან ერთად პროექტი გავაცანით საქართველოს ებრაელთა მთავარ რაზინს ხახამ მოშე მიხელაშვილს და მისგან მონონება და მხარდაჭერა მივიღეთ. ასეთივე აზრი შეექმნათ მიმდინარე წლის ივნისის თვეში სამოგზაუროდ საქართველოში ჩამოსულ შალიახ რაბებს, რომლებმაც სხვადასხვა რაიონებში იმოგზაურეს.

მართალია, პროექტი ძვირადღირებულია, მაგრამ — ღირებული. ამჯერად გჭირდება 50 ტონა თუჯის სხმული, 750 გრძივმეტრი მილი ბოძებისთვის, შუალედური კარები, ცემენტი, ქვიშა და მუშის ხელფასი.

შემონირულობებისათვის გახსნილია საბანკო ანგარიშები:

- 1) ანგარიში ლარისთვის: **ლიბერთი ბანკი, LBRTGE22, 270115110285657000**
 - 2) ანგარიში USD-თვის: **ლიბერთი ბანკი, LBRTGE22, 970115110285657001**
 - 3) ანგარიში EUR-თვის: **ლიბერთი ბანკი, LBRTGE22, 700115110285657002**
- ველოდებით თქვენს გამოხმაურებას!**

იოსებ (სოსო) აფიაშვილი
თბილისი, 2012 წლის ივნისი



მიდის“. ჩვენი ნახელავი სახეზეა — სასაფლაოს დასავლეთი მხარე შემოღობილია. „თავგამოდებულ ერისკაცებს“ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სამწუხაროდ, ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა და დამპალოს სასაფლაოს შემოღობვა შეჩერდა.

მაგრამ ნება, იცოდეთ, როგორ ძნელია ყოველივე ეს. და როდენ სასიხარულო და საამაყოა, როდესაც შენს წამოწყებულ კეთილ და საშვილიშვილო საქმეში ისეთი ადამიანები დაგიდგებიან გვერდში, როგორებიც მოსკოვში მოღვაწე ძმები: ლევან და ზურაბ აჯიაშვილები არიან — მათ თავიანთი შემონირულობით მეორე სიცოცხლე დაუბრუნეს თბილისის დამპალოს სასაფლაოს შემოღობვის საქმეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს მთლიანად მთელ საქართველოში ებრაული სასაფლაოების შემოღობვას და მოვლა-პატრონობას. ადამიანებმა, როგორც კი დაინახეს, საქმე ადგილიდან დაიძრა, მათაც ჩათვალეს თავი ვალდებულიად და ფონდს გარკვეული თანხა შემოსწირეს: რაბი ავიმელეხ როზენბლატმა, ანზორ შაოშვილმა, მერაბ ჩანჩალაშვილმა და დავიდ ზოჰარმა. იმედს

შილით ბაით ქანსათის ეზოში!

ცოტა ხნის წინათ თბილისის ბეით ქნესეთის ეზოში პატარა მაღაზია გაიხსნა, სადაც სხვადასხვა დაქაშრული პროდუქტია წარმოდგენილი. გვესაუბრება მაღაზიის გამყიდველი ისიდორე გაიდენშტიინი.

— მაღაზიაში წარმოდგენილი პროდუქცია ნათია სარალიძეს ისრაელიდან ჩამოაქვს. გვაქვს გაყინული ქათამი და ინდაური, ასევე მათი ფილე და ბარკლები. გვაქვს სხვადასხვანაირი სოსისები და ძეხვები. ფაქტიურად მთლიანად გამზადებულია, მხოლოდ დაღობვა სჭირდება. ბევრმა უკვე გაიგო ჩვენი მაღაზიის გახსნის შესახებ და ძალიან მადლობელია, რადგან აქ მინიმალური ფასებია, რათა ხალხმა წარმოდგენილი პროდუქციით მაქსიმალურად ისარგებლოს. მაგალითად, 400 გრამიანი სოსისი ჩვენთან 5 ლარი ღირს. იგივე სახის სხვა ფორმის პროდუქტი ჩვეულებრივ მაღაზიაში უფრო ძვირია. ანალოგიურად შეიძლება ითქვას სხვა პროდუქციაზეც. მალე აქვე სინაგოგის რესტორანიც გაიხსნება და ალბათ, ჩვენს პროდუქციას იქაც გამოიყენებენ. ორნაირი ქაშრუთი გვაქვს: ერთია, რომლის დაქაშვრაშიც ხახმებს აქვთ მონაწილეობა მიღებული, ხოლო მეორე ჩვეულებრივი ადამიანების მიერაა დაქაშრული.



თბილისი, 2012 წლის ივნისი

ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მოკალის თვალსაზრისით

შალომ დავიდი

ჩვენი ტრადიციის თანახმად, ქმრის მოვალეობა ცოლისადმი არ ამოიწურება მისი შენახვით და დაცვით. იგი ვალდებულია მას პატივი მიაგოს, ეთათბიროს და უყვარდეს იგი. თორის კანონთა უარყოფას მიყვავართ ქალის ღირსების უარყოფისაკენ. და ამისათვის ყოველივემ, რასაც კი გააჩნია ურთიერთობა დაბადებასთან, ბავშვების სიცოცხლესთან, უნდა იპოვოს თავისი ადგილი მხოლოდ სახლისა და კანონიერი ოჯახის ჩარჩოებში. სიტყვა „ყოველივეში“ ჩვენ მხედველობაში გვაქვს, როგორც სექსთა ნებისმიერი სიახლოვე, ასევე სინმიდე და ხელშეუხებლობა ქალის სხეულისა ებრაული საკანონმდებლო კოდექსის შესაბამისად.

„ცნიუთი“ მონოდებულია კი არ დაეძლიოთ უხეში სექსი, არამედ მინიმუმამდე დავიყვანოთ მისი ბოროტად გამოყენება, – ეს არ არის შიშისა და დანაშაულის კომპლექსი, ეს არის ცდა, რომელმაც სექსი უნდა მოათავსოს კანონის მიერ დადგენილ ჩარჩოში.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ასიმილაციისაგან ხელშეუხებელ ებრაულ ოჯახებში „ცნიუთი“ აღიქმებოდა არა მარტო საღმრთო ლიტურგიიდან, „ცნიუთი“ არსებობდა არა მხოლოდ ებრაულ სახლში, არამედ ებრაულ ქუჩებშიც. „ცნიუთი“ ებრაელს შეეძლო ესწავლა თავისი მშობლებისაგან, რაბისა და მეგობრებისაგან.

ებრაელი ახალგაზრდობა, ცნობებს სექსის შესახებ, ქუჩისა და ამორალური ჟურნალებიდან არ იღებდა. სექსის ყველა საკითხი ღიად განიხილება თორაში, თანახში, მიშნასა და თალმუდში. რა თქმა უნდა, ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭუნას, რომელიც შეისწავლიდა თალმუდს, შეეძლო გაეგვლო ტრაქტატი „ნიდა“ (ქალის მენსტრუალური ციკლი და მასთან დაკავშირებული კანონები ოჯახის სინმინდის შესახებ), „გიტინი“ (განქორწინება), ან „კიდუშინი“ (ქორწინება). ეს წიგნები არ წარმოადგენენ აშკარა და საიდუმლო სწავლასა საზრდოს. ებრაელი ახალგაზრდობა სწავლობდა რეალურ ცხოვრებას ებრაულ სკოლაში, მორალური დისციპლინისა და სინმიდის ატმოსფეროში.

არ არსებობდა „სექსობრივი აღზრდა“ კლინიკური ბიოლოგიის სახით, რომელსაც ცინიკურად სთავაზობდნენ ბავშვებს მასწავლებლები, მოკლებულნი ელემენტარულ მორალურ კრიტიკრიუმებს. ახალგაზრდობასთან, აღნიშნულ თემაზე, ლაპარაკობენ უბრალოდ და პატივისცემით, ცხოვრებისა და სიყვარულის სინმინდის იდუმალების გამო, იმ შეგნებიდან გამომდინარე, რომ მეუღლეთა წყვილის სამყარო – ეს რაღაც ღრმად პიროვნულია, რომელიც არ განიხილება ინტიმური წრის საზღვრებს მიღმა. ებრაელი ახალგაზრდობა არ იყო უფიცი, მას არ ანცვიფრებდა მოულოდნელი „აღმოჩენები“. მან იცოდა, რომ ეს დიდი ნაწილია ჩვენი წმინდა ხალხის ცხოვრებისა.

სექსის როლი ჩვენს ცხოვრებაში

ჩვენ თავისთავად ცხადად მიგვაჩნია, რომ ცოდვის არსი ყველაზე ნათლად გამოისახება მოურიდებელ და არაფრით შეზღუდულ სექსობრივ ურთიერთობაში. მიზეზი – უბრალო და გასაგებია. სექსი – ეს ცდუნების სფეროა. უამრავ ადამიანს აცდუნებს სურვილი, რომ თავის მოყვას რაიმე მოჰპაროს. ხშირად შეგვიძლია წავანყდეთ ერთის მიერ მეორისაგან ცოლის წართმევის ნადილს, ან ლამაზ ქალიშვილთან თავის გართობის ცდუნებას. სექსი აღრევს ჩვენს წარმოდგენას ფასეულობათა შესახებ. თქვენ ამბობთ: „რა მნიშვნელობა აქვს, რასაც მე ვიქმ...“ ფაქტიურად, „მოწყვეტილი კოცნით“, თქვენ, საკუთრივ, არაფერი არ მოგიპარავთ. საშველად წილდებიან ინტელექტუალური ხასიათის მოსაზრებანი: „ლაპარაკი მიმდინარეობს ორგანიზმის მხოლოდ ფიზიკური ფუნქციის შესახებ, ისეთი ფუნქციის თაობაზე, როგორც მაგალითად – საკვების მიღება“. იმავდროულად ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ჩვენივე „ყველაზე მნიშვნელოვანია“, „მე ვერ ვპოვებ მოსვენებას, სანამ არ აღვასრულებ საკუთარ ნადილს“. ადამიანი მოხიბლულია, მას არ შეუძლია სხვა რამით საკუთარი თავის დაკმაყოფილება. არ არის გასაკვირი, რომ ადამიანის ძირითადი სწრაფვა, მას აკავშირებს მარადიულსა და ღვთაებრივთან, ახალი ადამიანური ცხოვრების ქმნილებასთან.

სექსი, როგორც სუფთა ფიზიკური ფუნქცია, არანაკლებ ბუნებრივი მოვლენაა, ვიდრე სუნთქვა ან

საჭმლის მონელება. და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი საშიშროება. თვითკონტროლისა და განსჯის უქონლობა სექსს გამორიცხავს მორალურ შეზღუდვათა სფეროდან. ასეთ ვითარებაში ჩვენ დავემსგავსებოდით ცხოველებს, რომლებიც სქესობრივ ინსტინქტს იკმაყოფილებენ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილზე.

სექსი, რომ ყოფილიყო სრულიად ინსტინქტური და ავტომატური, მაშინ აზრი აღარ ექნებოდა იმას, საუბარი რომ დაგვეწყო ბინიერისა და ცუდის თაობაზე. ყველასათვის ცნობილია, რომ სექსი წარმოადგენს რაღაც გაცილებით მეტს, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული სიყვარულთან, ადამიანის სულთან, სოციალურ დაწესებულებებთან, ოჯახთან და მოდგმის გაგრძელებასთან, რომ მისი ფიზიკური მხარე იწვევს ღრმა ემოციონალურ შთანთქმას, გატაცებას. გარდა ამისა, სექსი დაკავშირებულია ადამიანის ინსტინქტურ სურვილთან გააგრძელოს თავისი მოდგმა საუკუნეებში.

სხვა ფიზიოლოგიური ფუნქციებისაგან განსხვავებით სექსი არ წარმოადგენს აუცილებლობას. ნებისმიერი ფიზიკური მოთხოვნილებისაგან განსხვავებით იგი უფრო ემორჩილება აზრისა და ნებისყოფის კონტროლს. აუცილებელია სუნთქვა, აუცილებელია კვება, გული უნდა ფეთქავდეს. ორგანიზმის ამ ფუნქციათა კონტროლის შესახებ ლაპარაკი კი ზედმეტია. მაგრამ სქესობრივი თავშეკავებულობა შესაძლებელია მრავალი წლის განმავლობაში. სექსი დაკავშირებულია ნებისყოფის თავისუფლებასთან, და მხოლოდ ნებისყოფის თავისუფლების მეშვეობით შეიძლება ლაპარაკი ცოდვის შესახებ. სექსი დაკავშირებულია ადამიანის შემოქმედების უმაღლეს ფორმასთან. აგრძელებს რა მოდგმას, ადამიანი მონანილეობს ქმნალობის პროცესში. მაგრამ, რამდენადაც სექსობრივი ინსტინქტი დაკავშირებულია არჩევის თავისუფლებასთან, მას შეუძლია დაამახინჯოს ჩვენი თავისუფლება. სექსს ძალუძს ვენების მოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დომინირებს ფიზიკური სწრაფვა, იღებს ადამიანის აზრი და ნებისყოფა უმოქმედოა. არაკონტროლირებული სურვილი გაუპიროვნდება და შეპყრობილად გარდაიქცევა.

ჩვენმა თაობამ გამოცდილებით შეიცნო, რომ თუ ადამიანი განთავისუფლდება შეზღუდვებისა და დამნაშავეობის შეგნებისაგან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით დისციპლინისა და თვით კონტროლისაგან, იგი ვერ გახდება საღი ემოციონალურად.

„ახალი მორალისა“ და „შემწყნარებლობის“ გამოჩენამ დაარწმუნა ადამიანები, რომ აკრძალვათა უქონლობა სექსობრივ ურთიერთობას უკარგავს ყოველგვარ აზრს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ქალიშვილები და ჭაბუკები, ისრაელის ზოგიერთ კიბუცში, „მაჰამის“ უკიდურესად მემარცხენე მიმდინარეობასთან რომ არიან დაკავშირებულნი, ცხოვრობდნენ ერთად, ჭამდნენ და სვამდნენ ერთად, ერთად ეძინათ, ერთად ბანაობდნენ. ამ კიბუცებში გამოცხადებულ იქნა სიყვარულის თავისუფლება და ძველი მორალის გაუქმება მარქსიზმის შესაბამისად. აღნიშნულ კიბუცებში ეს სისტემა გაუქმებულ იქნა, რამდენადაც ბავშვები, რომელნიც იბადებოდნენ მსგავსი კავშირების საშუალებით, შემდგომ იტანჯებოდნენ ემოციონალური მოშლილობით.

ამგვარად შეუღლებული ახალგაზრდების საზოგადოებრივი და სექსუალური ურთიერთობანი შორს იყო ნორმალურისა და საყოველთაოდ მიღებული სისაგან, ისინი ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს. საღი, ბუნებრივი იმპულსები მათთან დარღვეული იყო, ისინი ბავშვების სადარნი იყვნენ, რომელთაც განუწყვეტლივ ტენიან და არასდროს არ ექმნებოდათ შიშის ნორმალური გრძნობა.

მსგავსი ტრამეები შემჩნეული იყო მათ მშობლებთანაც. ყველას როდი შეეძლო თვალყურის დევნება ახლოვებულ ქალთა ურთიერთობისა უცხო მამაკაცებთან. ზოგიერთ შემთხვევაში ეჭვიანობის ბუნებრივი გრძნობა ისეთ სიძლიერეს აღწევდა, რომ საჭმე მკვლევლობამდე მიდიოდა. ძალიან მალე ამ კიბუცებში დარწმუნდნენ, რომ ადამიანთა საზოგადოება, რა სახისაც არ უნდა იყოს, იგი არ შეიძლება არსებობდეს ქორწინების გარეშე.

ნუდისტები რწმუნდებიან, რომ ათწუთიანი



უტანსაცმლო სიარულით, ისინი კარგავენ სირცხვილის გრძნობას, ხოლო გაშიშვლებული ქალის დასწრება წყვეტს რაიმე ემოციის გამოწვევას.

ამ შემთხვევაში „თავისუფლება“ ახშობს არა მარტო სექსუალობას, არამედ ყველა ადამიანურ გრძნობას. მიჰყავს რა სიყვარული მექანიკურ, ბიოლოგიურ მხარეს, ადამიანი ცხოვრებას უსპობს რომანტიკასა და სინმიდეს, სექსი ხდება ცხოველური ფუნქცია, და არამც სიყვარულისა და ერთგულების გამომახტველი.

ამერიკაში „ახალი მორალის“ გავრცელებასთან ერთად, გარყვნილება და სექსუალური მანია მყლავნდება არა მარტო განქორწინებათა რაოდენობაში, მეუღლებრივ ლალატში, ოჯახის რღვევასა და ფსიქიკურ მერყეობაში, არამედ ადამიანთა ურთიერთობის ნორმათა მსხვერველშიც. პატიოსნების, პასუხისმგებლობის არ არსებობა, გარემომცველი სამყაროსადმი ადამიანის გულგრილობა, რაც ჩვენი დროის დამახასიათებელს წარმოადგენს, პირდაპირ არის დაკავშირებული ამერიკული სექსის კულტთან, „პლეიბოს“ ფილოსოფიასთან, ქალისადმი ურთიერთობასთან, როგორც სათამაშოსადმი.

მეზობრობა ქორწინებაში

რელიგია, რად უარყოფს ფიზიკურ კონტაქტებს, ქალიშვილსა და ჭაბუკს შორის, ქორწინებამდე? შეხება, რად თამაშობს ასეთ როლს ებრაული მორალის ტრადიციაში? „ნიდა“, ე.ი. მდგომარეობა, რომელშიც ყველა ებრაელი ქალიშვილი სუფევს ქორწინებამდე, — „ჰალახისტური“ ცნებაა, ამდენად ჩვენ არ შეგვხვებით ამ თემას. თუნდაც კანონში გაუთვითცნობიერებლისთვისაც ცნობილია, რომ ფიზიკური კონტაქტი წარმოადგენს მიჯნას, რომლის მიღმა იწყება ინტიმური ურთიერთობა. ფიზიკური სიახლოვე თუ აკავშირებს ადამიანებს ქორწინებაში, მაშინ ქორწინებამდე არსებული ფიზიკური კონტაქტი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მათ. ფიზიკურმა სიახლოვემ უნდა დააკავშიროს ის, რაიც სამარადღაჟამოდ უნდა იყოს შეუღლებული.

საჭმე იმაშია, რომ თითოეულ ადამიანს თავისი ინდივიდუალური აგზნებადობის ზღვარი გააჩნია, ამაღ ესოდენ მნიშვნელოვანია ზოგადი პრინციპი ფიზიკურ ურთიერთობათა საკითხში, რომელსაც თორა იძლევა. სექსი ძალზე საშიშია, ამიტომ არს დაუშვებელი ქარაფშუტული თამაში, რომელსაც კავშირის დამყარებამდე მიყვავართ, და რომლის განწმენდა – გასხვივოსნება მხოლოდ ქორწინებას შეუძლია.

ყველასათვის ცნობილია, რომ ფიზიკური კავშირი არასტაბილურია. სექსი შეიცავს თავშესაქცევ ელემენტს, მაგრამ იგი თუ თავშესაქცეობის პოზიციიდან განვიხილეთ, ის გადაიქცევა თავის მოტყუებად. ამის შედეგად სულ უფრო რთულდება ურთიერთობა, ანდაც ქმედება იქამდე მიდის, რომ გართობის ელემენტი ქრება. იგი გადაიქცევა ტვირთად, რაც სასოწარკვეთილებას იწვევს. ამისათვის ადამიანმა უნდა დაამუხრუჭოს თავისი იმპულსები იქამდე, სანამ გარკვეულ მომენტს იგი არ მიუყვანია ტრაგედიამდე. ნათქვამი, უწინარეს ყოვლისა, შეეხება ადრეულ სიტუაციებს. ამ ასაკში, თუმცა, გულწრფელობით ვლინდება გრძნობა, მაგრამ მას არ ძალუძს, ახალგაზრდა რომ მიიყვანოს მტკიცე ურთიერთობამდე. ამ ურთიერთობებში ჭარბობს სხვადასხვაგვარი საფრთხე და არასრულფასოვნების კომპლექსი.

(გაბრძელება იძნება)

ივლისი საპარტიელო აპრელოვას?

იურისტი და დიპლომატი ანზორ ბალუაშვილი

— ბატონო ანზორ, წლების განმავლობაში მაღალი თანამდებობები გეკავათ, ხელთ გეპყრათ დიდი საქე ამიტომ საინტერესო იქნება თქვენი ცხოვრების გზა...

— ქუთაისში დაიბადე და სკოლაც ამ ქალაქში დავამთავრე, შემდეგ თბილისში გადმოვედი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე. ჩემი სპეციალობა საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და სამართალი იყო. გარკვეული პირობების გამო მაშინვე პრაქტიკულ სამუშაოს დანყება მომიწია. სამეცნიერო მუშაობა შევწყვიტე და დავეინიშნე ბათუმის პროკურატურაში უფროს გამომძიებლად, შემდეგ გადმომიყვანეს საქართველოს პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად. შემდეგ ვიყავი თბილისის პროკურატურის, შემდეგ საქართველოს პროკურატურის სამმართველოს უფროსი, გენერალური პროკურორის მოადგილე, პირველი მოადგილე, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ისრაელში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უშიშროების საბჭოს მდივანი. ახლა კი დიპლომატიური და სამართლებრივი კვლევის კონსულტანტი ვარ.

— რა პერიოდში ხდებოდა თქვენი კარიერული აღმასვლა?

— 1993 წლის ოქტომბრიდან 1999 წლის ნოემბრამდე გენერალური პროკურორის მოადგილე ვიყავი, 2001 წლის თებერვლამდე კი პირველი მოადგილე.

— ასეთ დიდ თანამდებობზე მუშაობა ძალიან რთული უნდა ყოფილიყო...

— რასაკვირველია, დიდი დატვირთვა და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო. საბჭოთა პერიოდში სამართალგაშლენებით საქმიანობაში გარკვეული ჩარჩოები არსებობდა. ძალიან დიდი ბრძოლა იყო საჭირო. სამწუხაროდ, პროკურორი იყო აღმსრულებელი და არა სამართალ შემოქმედი. ხშირ შემთხვევაში კი შეუსაბამო კანონები მოქმედებდა. საქართველოს პროკურატურის ცენტრალურ აპარატში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი გენერალური პროკურორის ბრძანებით ინიშნებოდა. გასაუბრება ცენტრალური კომიტეტის შესაბამის სტრუქტურებში უნდა გაგველო და საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი შემდეგ გამოსცემდა ბრძანებას. სხვათა შორის, როდესაც თბილისში გადმომიყვანეს სულ ექვსნი ვიყავით და ყველას თავისი სპეციფიკური სამუშაო გეგმონდა. მაგალითად მე განსაკუთრებით საშიში საქმეების გამომძიებლად დავეინიშნე. მეხებოდა მკვლელობები, აფეთქებები, და რაც ყველაზე მეტად მანამებდა ჩვენს სისტემაში გამოვლენილი და დაპატიმრებული ხალხის საქმეების გამოძიება. ანაზღაურებას კავშირის ფედერალური პროკურატურის ბიუჯეტიდან ვიღებდით. სხვათა შორის, ძალიან უზრუნველყოფილი ვიყავით. მგზავრობა, სასტუმრო, ტანისამოსი ყველაფერი უფასო იყო. შემდეგ დაიწყო ეროვნული მოძრაობის პერიოდი, კატაკლიზმები. საქართველო რუსეთის შემადგენლობაში 200 წელზე მეტ ხანს იყო, ხალხის ფსიქიკა კი დეფორმირებული, გამოჩნდა რადიკალურად განსხვავებული ხალხთა ჯგუფები, რამაც კრიმინალური სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. ამ დროს, საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის სასამართლოებში საქმეთა განხილვის მთავარი სამმართველოს უფროსი ვიყავი. მოხდა ისე, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ბევრი ისეთი ადამიანი ამოეფარა, რომელიც ყველა სისაძაგლეზე მიდიოდა. მავანნი მიზანმიმართულად ერეოდნენ



სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ხალხის დისკრედიტაციაში, წესად იქცა სამართლებრივი ნიჰილიზმი და აბუჩად აგდება. არ მოეწონებოდათ ახალ ხელისუფლებაში ვინმეს მოქმედება კარებს აუჭედავდნენ. ამ პერიოდში მუშაობა ძალიან რთული იყო, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ დემოკრატიზაციის თვალსაზრისით ეროვნულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. რასაკვირველია, გამოუცდელი იყო ხელისუფლების პირველი პირები, მათი დამოკიდებულება და მენტალიტეტი სულ სხვა იყო. იმდროინდელ ხელისუფლებაში მყოფი ძალიან ბევრი პიროვნება ადრე გასამართლებული იყო და სამართლებრივი სტრუქტურების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა, თუმცა უკვე შემდეგ ურთიერთობების გარკვევის პერიოდში მიდიოდნენ იმ აზრამდე, რომ უნდა ჩაყრილიყო ფუნდამენტი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსი, მოქალაქის დაცვისათვის. ქვეყნის საერთაშორისო კონვენციებისთვის მისაერთებლად კომიტეტმა ძალიან სერიოზული მუშაობა, დაიწყო. მუშავდებოდა დასავლეთის, ანგლოსაქსური, გერმანული სისტემის ძირითადი დოქტრინები. თუმცა, გარკვეული პატრიოტული განცხადებებისა და ზოგიერთი მოუფიქრებელი ქმედების გამო, წამყვანი სახელმწიფოები თავს იკავებდნენ საქართველოს სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის რეალური აღიარებისაგან. ზოგიერთი პატრიოტი თვლიდა, რომ მათი ქცევა გამომდინარეობდა ადამიანური, სამშობლოს სიყვარულით, რომ „ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნოდეს“, საქართველო თავიდანვე ძალიან მრავალრიცხოვანი და ტოლერანტული სახელმწიფო იყო. ეს გალიზიანებას იწვევდა სხვა ეროვნების მოქალაქეებში, იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ქვეყნების პირველ პირებს არასასურველ კონტექსტში მოიხსენიებდნენ, ეს ყველაფერი კი მათთან ურთიერთობას ხელს უშლიდა. შემდეგ იყო ხელისუფლების ძალით დამხობა და საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შავი ფურცლები, კრიმინალთა თარეში ეროვნული ცნობიერების, მორალისა და ეთნიკური ურყევობის პრინციპების ხელყოფა. ქვეყნის კუთხე-კუთხე დაყოფა. მოვლენები ოსეთში და აფხაზეთში, რამაც ტერიტორიული მთლიანობის რღვევა გამოიწვია. სამოქალაქო ომი, რაც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდი უბედურებაა. პრაქტიკულად ამ პერიოდისთვის გაუსაძლისი ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა იყო. გადიოდა თვეები და თანამშრომლებს ხელფასს ვერ ვაძლევდით. ეს ყოველივე სახელმწიფოს ყოფნა-არ ყოფნასთან დაკავშირებით დიდ საშიშროებას ქმნიდა. თუმცა, 1994 წლიდან დაიწყო სერიოზული ძვრები, მოთარეშე დაჯგუფებების ლოკალიზაცია, ფინანსური და ეკონომიკური სისტემების გამყარება, ინვესტიციების შემოდინება, 1999 წლამდე სახელმწიფო ნორმალური ტემპით ვითარდებოდა. შემდეგ ქვეყანაზე მსოფლიო

კრიზისმაც დიდი გავლენა მოახდინა. 2001 წელს კი მმართველ გუნდში მოხდა უთანხმოება, რასაც 2003 წლის ე.წ. რევოლუცია მოჰყვა.

— ისეთი საქე გეპყრათ ხელთ, თანაც ისეთ წლებში, რომ შეგეძლოთ ერთობ მდიდარი ადამიანი ყოფილიყავით. მაგრამ შეინარჩუნეთ ზნეობრივი სინინდე. გაგვაცანით თქვენი ზნეობრივი კრედო...

— ეს ალბათ ჩემმა კოლეგებმა უკეთ იციან. ჩემი კრედო იყო მემსახურა ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ხალხისთვის და უსამართლოდ არავინ დამესაჯა. არასოდეს მიფიქრია მატერიალურზე. საბჭოთა ხელისუფლებამ რომელი ბინაც მომცა ახლაც იქ ვცხოვრობ. არასოდეს გამომიყენებია პრივილეგია, იმ დროს ყველაფერი ხელის გულზე ელაგა. მაგრამ მე არავინ თარი პრივილეგია არ გამომიყენებია და ეს ყველამ იცოდა, ზოგი სულელსაც კი მეძახდა, მაგრამ ასე ვცხოვრობდი.

— ორი წლის განმავლობაში ისრაელში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იყავით, თქვენი თვალთახედვით რა არის ისრაელის ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი?

— გაუგონარი სიყვარული სამშობლოსადმი და პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს არის თავისი მოყვანის ჭირ-ვარამის უთუოდ გაზიარება, თავისი სამსახურობრივი საქმისადმი უაღრესად დიდი რიდიტ მოკიდება და ამ პატარა ერმა შეძლო აეშენებინა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ინოვაციებით, თავისი ნოუ-ჰაუთი, სოფლის მეურნეობით განსაკუთრებულად წარმატებული, ზუსტი მეცნიერებებით და ფუნდამენტალური ტექნოლოგიებით. მას აქვს უაღრესად ძლიერი სახელმწიფო დაცვის სტრუქტურები, შეიარაღებული ძალები, უშიშროების სამსახური და, რაც მთავარია, სამართლიანი სასამართლო. დამოუკიდებელი სამართალდაცვითი სტრუქტურები და ამ სტრუქტურებში მომუშავე პირები, რომლებიც მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

— ამ მხრივ ჩვენთან განსხვავებული სიტუაციაა?


— კი და ეს ქვეყნის ძალიან სერიოზული პრობლემაა. რაც არ უნდა ჭირი ვმალთ, ის არ დაიმალება. ამიტომ ჩემი რჩევაა ჩემი კოლეგებისადმი და ყველა ამ დარგში მომუშავე პიროვნებისადმი გამოიჩინონ შესაბამისი პრინციპულობა და ისე წარმართონ საქმიანობა როგორც ნამდვილ დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანაში შეუძენის. არც ერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს მთელი სამართლებრივი სისტემა, თუ ის უკანონოდაა დასაჯილი. ჩემ დროს არ იყო უკანონოდ დასაჯა? მაგრამ ის სულ სხვა სისტემა იყო. ახლა კი რეციდივის დაძაბვა დამლუპველი იქნება.

— თქვენი იურიდიული მოღვაწეობის — საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის პოსტზე თუ გქონიათ შემთხვევა, რომ თქვენის ნინაალმდეგ წასულხართ?

— ასეთი შემთხვევა არასოდეს მქონია და ვერც ვერავინ გამიბედავდა და ეს ყველამ იცოდა.

— რა კრიტიკიუმებით უნდა იხელმძღვანელოს თქვენი აზრით იურისტმა?

ანზორ ბალუაშვილი ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარესთან დოვ შილანსკისთან



ანზორ ბალუაშვილი ისრაელის საზოადლო მთლანესთან რაფი ბალუაშვილთან ერთად

რას ვპიტიხ ულკობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება მთავარი რაბინის მ.შ. აბიმიელმს როჯინბლატი



9
ს
ბ
ი

ნესები, რომელიც უნდა დავიცვათ 17 თამუზიდან 10 აბის ჩათვლით

1. 17 თამუზიდან 9 აბამდე (ნელს 10 აბის ჩათვლით) პერიოდი ებრაელთათვის არაკეთილსასურველია.

უნდა მოერიდოთ ბავშვების ცემას. უმჯობესია არ მოხვდეთ "სახიფათო ადგილებში": ბასინზე, პლიაჟზე, მთებში, ექსკურსიებზე და ა. შ. სასურველია არ გახვიდეთ უკაცრიელ ადგილებში მეოთხიდან მეცხრე საათობრივ განაკვეთებში (ლამის საათებში). პერაცეები და სამედიცინო ჩარევის სხვა სახეები, ის, რისი გადატანაც შესაძლებელია, ასევე სასურველია გადაიტანოთ 9 (ამ ნელს 10 აბის) შემდეგ.

2. ქორნილი და მუსიკა – აშკენაზი ებრაელები არ ქორნიდებიან 17 თამუზიდან, ხოლო სეფარადები, ძირითადად აბის თვის დასაწყისიდან. აშკენაზს შეუძლია მიიღოს მონანილეობა სეფარადის საქორნილო მხიარულებაში. გაცნობა ოჯახის შექმნის მიზნით (მიდუხ) და ნიშნობა (ერუსინ) შეიძლება სადღესასწაულო ტრაპეზითაც კი.

17 თამუზიდან არ უსმენენ მუსიკას, არ აწყობენ ცეკვა-თამაშს. მუსიკად ითვლება არა მარტო მისი ცოცხალი შესრულება, არამედ რადიო, კასეტები, დისკები და ა. შ. დაშვებულია აკაპელა, ანუ მუსიკალური თანხლების გარეშე შესრულებული სიმღერა, მაგრამ თავად ადამიანისათვის ასეთი სიმღერაც არასასურველია სამღერად. ის სიმღერა, რომელსაც სინმინდისაკენ, გამჩენთარ შერწყმისაკენ მივყავართ, დაშვებულია. ბავშვებისათვისაც აკრძალულია სიმღერა. სიმღერის გაკვეთილების ჩატარება გასამსჯელოს აღების მიზნით დაშვებულია, ოღონდ სახლში გაკვეთილების ჩატარება არასასურველია, თუ ამის აუცილებელი საჭიროება არაა. აშკენაზ მუსიკოსს გასამსჯელოს მიღების მიზნით შეუძლია იმუშავოს სეფარადის ქორნილზე.

3. დაშვებულია შვიდი კურთხები ტრაპეზების მოწყობა მათთვის, ვისაც ქორნილი 17 თამუ-

ზამდე ჰქონდა. ასევე დაშვებულია ბრით მილის, ბარ-მიცვის, პირველმობილის გამოსყიდვის, ახალსახლობისადმი, მიძღვნილი ტრაპეზები.

4. 17 თამუზიდან არაა მიღებული შეჭხეიანუს, ანუ ახალი ტანსაცმლისა და ხილის კურთხება. დასაშვებია მხოლოდ იმ ნაყოფის კურთხება, რომელსაც 9 აბის შემდეგ ვეღარ ვიშოვით. აბის თვის რომ ხოდებზე და შაბათებზე დაშვებულია შეჭხეიანუს თქმა (თუმცა არიზალის მიხედვით ეს არასასურველია). ბრით მილაზე, პირველმობილის გამოსყიდვაზე, გერის მიკვეში ჩასვლაზე შეჭხეიანუს აკურთხებენ. თუ ადამიანს დაავინყდა ეს ნესი და წარმოსთქვა შეჭხეიანუს, ეს დაშვებულია.

5. რემონტი, მშენებლობა და მათთან დაკავშირებული სამუშაოები, დეკორატიული მცენარეების დარგვა არაა მიზანშეწონილი. ხოლო აბის თვის დასაწყისიდან უკვე აკრძალულია.

6. აშკენაზები 17 თამუზიდან არ იჭრიან თმას და არ იპარსავენ წვერს. უმეტეს სეფარადულ თემებში დაშვებულია ეს იმ კვირის დაწყებამდე, რომელშიც შედის 9 აბი, თუმცა ზოგიერთები ასევე იცავენ კანონს აშკენაზების მსგავსად. თმის შეჭრის აკრძალვა ეხებათ მამაკაცებსაც და ქალებსაც, აკრძალულია ასევე პარიკების პროფესიულად შეჭრა და დაყენება, მაგრამ მისი დავარცხნა შესაძლებელია. სამედიცინო მიზნებისათვის დაშვებულია პარსვაც და შეჭრაც.

7. 17 თამუზიდან მიღებულია არ ვიყიდოთ ნივთები, რომელნიც განსაკუთრებულ სიხარულს მოგვანიჭებენ. ის ტანსაცმელი, რომელზეც არ ამბობენ შეჭხეიანუს, მაგ. თეთრეული, წინდები და ა. შ. შეიძლება შევიძინოთ აბის თვის დასაწყისამდე. არ შეიძლება ძვირფასი ნივთების ყიდვა, მაგ. ოქროს საქორნილო ბეჭედი და ა. შ. შეიძლება სარეცხის მანქანის, მანქანის და სხვა ასეთი ნივთების ყიდვა, თუ მათ შემდგომში ვერ ვიყიდით გაძვირების ან იმ ადგილას მოხვედრის შეუძლებლობის გამო.

აბის თვის დაწყებიდან კანონები უფრო მკაცრდება:

1. 1 აბიდან ცხრის ჩათვლით აკრძალული ღვინისა და ყურძნის წვენის დალევა. ეს კანონი არ ვრცელდება მეძუძურ ქალებზე და ბავშვებზე ექვს წლამდე (ზოგიერთის აზრით – 9 წლამდე). სხვა სპირტიანი სასმელები, რომლებიც არ იწოდებიან ღვინოდ, შეიძლება. ძმარიც დაშვებულია. საკვებში, რომელშიც არ იგრძნობა ღვინის გემო, შესაძლებელია მისი დამატება.

2. პირველიდან ათი აბის ჩათვლით ჩვეულებრივ დღეებში აკრძალულია ხორცის მირთმევა. არიან რაბინები, რომელნიც თვლიან, რომ იმ კვირამდე, რომელშიც 9 აბი მოდის ბარ-ბათ მიცვა ასაკამდე ბავშვებისათვის, ავადმყოფებისათვისა და მეძუძური ქალებისათვის დაშვებულია ხორცის მირთმევა. ოღონდ იმ მეძუძურისთვის, რომელიც თავს კარგად გრძნობს არ შეიძლება ხორცის მირთმევა.

3. მიცვის შესრულებასთან დაკავშირებულ ტრაპეზებზე ხორცის მირთმევა და ღვინის სმა დაშვებულია. უცილებელია, რომ ასეთი ტრაპეზები მოენყოს იმ შემთხვევაში, თუ სწორედ ამ დღეებში ემთხვევა ბარ მიცვა, ბრით მილა და ა. შ.

არ შეიძლება ამ დღეებში რაიმე დღესასწაულის დაგეგმვა.

4. მცნებებთან დაკავშირებული ტრაპეზების დროს მღერაინ მხოლოდ იმ სიმღერებს და გამჩენის სადიდებლებს, რაც დაკავშირებულია მხოლოდ ამ დღესასწაულებთან და მუსიკალური ინსტრუმენტების გარეშე.

5. აკრძალულია ტანსაცმლის ყიდვა, კერვა და ძველის ახლად გადაკეთება. დაშვებულია ღილის მიკერება, ნახმარი ტანსაცმლის შეკეთება. შეიძლება ნაჭრის ყიდვა, თუ მას 9 აბის შემდეგ შეკერავთ.

6. აშკენაზებისათვის აბის თვის დასაწყისიდან, ხოლო სეფარადებისათვის იმ კვირიდან, რომელშიც 9 აბია, აკრძალულია ახალი და ახლადგარეცხილი ტანსაცმლის ჩაცმა. აკრძალულია ასევე ახალი სუფრების, პირსანმენდების, სანოლის თეთრეულის ხმარება. შაბთს შეიძლება გარეცხილი ტანსაცმლის ჩაცმა. ამ დღეებში აკრძალულია დაუთოვება შაბათისთვისაც კი.

ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს და დაუთოვდეს აბის თვის დაწყებამდე და შემდეგ საჭიროა მათი ჩაცმა ნახევარი საათით მაინც. თუ ვერ მოასწარი ამის გაკეთება, შაბათს შეიძლება ჩაიცვათ რამდენიმე ჩასაცმელი და შემდეგ ის ჩაიცვათ ჩვეულებრივ დღეებში. თეთრეული და წინდები შეიძლება გამოვიცვალოთ ყოველდღე, მაგრამ უკეთესია ისინიც მოვამზადოთ წინასწარ.

7. აშკენაზებისათვის აბის თვის დასაწყისიდან, ხოლო სეფარადი ებრაელებისათვის იმ კვირიდან, რომელშიც ცხრა აბი შედის, აკრძალულია ბანაობა სიამოვნების მიღების მიზნით. ცხელ დღეებში, ან ცუდად მყოფი ადამიანისათვის დაშვებულია დაბანვა, ოღონდ გრილი წყლით უსაპნოდ და შამპუნის გარეშე. თუ ეს არასაკმარისია, მაშინ თბილი წყლით და სარეცხი საშუალებების გამოყენებითაც. ავადმყოფებისათვის, რომელთათვისაც აუცილებელია ბანაობა, ხუთი-ექვსი წლის ასაკამდე ბავშვებისათვის, იმ ქალებისათვის, რომელთაც მშობიარობის პერიოდი უწევთ, დაშვებულია ჩვეულებრივად ბანაობა. შაბათისათვის საჭირო ბანაობა საჭიროა შევცვალოთ, ანუ დავიბანოთ ნაწილ-ნაწილ და საპნის გარეშე. მიკვაში ჩაყვინთვა შაბათის წინ შეიძლება, ოღონდ დასამკვებ დროს არ უნდა გადააჭარბოთ. მათთვის ვინც ცურავს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, შეიძლება ბასეინზე სიარული.

8. იმ კვირამდე, რომელშიც ცხრა აბი შედის, ფრჩხილების დაჭრა დაშვებულია. მიკვისათვის ქალს და ბრით მილისათვის მოელს შეუძლია ფრჩხილების დაჭრა იმ კვირაშიც.

სასურველია ამ დღეებში უარი ვთქვათ ტყუილუბრალო საუბრებზე, თავქარიანობაზე, საკვებით და სასმელით გადაჭარბებულად სიამოვნებაზე. გამჩენისადმი მსახურებაში კი, პირიქით ვუმატოთ მხიარულებას, ეს დღეები ხომ მასთან დაახლოვებისათვის კეთილსასურველია იმის გამო, რომ მეორე ტაძარი ერთმანეთის მიმართ უმიზეზო სიძულვილის გამო დაინგრა, საჭიროა უფრო მეტად გამოვავლინოთ სიყვარული, მეგობრობა, დავეხმაროთ ახლო მდგომთ.

— გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი ღირებულებების, სამართლიანი. გამუდმებით იღრმავებდეს ცოდნას, ააანალიზებდეს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკას, ყველა შეცდომა და გადაცდომა დეტალურად გააანალიზოს. ადამიანებთან ურთიერთობის ცივილურად წარმართვა. პროფესიონალიზმია ამოსავალი წერტილი, და რაც მთავარია მოუსმინოს დაცვის მხარეს და ნურაფერს დატოვებს უყურადღებოდ და შეუმონებლად, რადგან ის მაინც იჩენს თავს. დღეს უკვე სამართლებრივ სისტემას ყველა შესაძლებლობა აქვს. უზრუნველყოფილი არიან სოციალურად, მატერიალურად. ტექნიკურადაც. ყველა იურისტმა უნდა იცოდეს, რომ ის არის ამ ქვეყნის შემადგენელი ნაწილი, ისევე როგორც მოპირდაპირე სკამზე მჯდომი პირი.

— ამ მხრივ თქვენ დროს მუშაობა უფრო რთული იყო?

— რასაკვირველია, რთული იყო. მე კატეგორიულად ვემიჯნები იმ მოსაზრებას, რომ ის სამართლებრივი სისტემა მთლიანად კორუმპირებული იყო.

რასაკვირველია, გარკვეული ნაწილი იყო, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მსგავს საქმეებში ნამდვილად არ იყვნენ გარეუღნი.

— ისრაელის ისტორიაში იყო მსაჯულთა ეპოქა. მოსეს ხუთნიგნეულში საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს სამართალზე და სამართლიანობაზე საუბარს, რამდენადაა თანამედროვე ეპოქაში მისაღები და გამოსაყენებელი ხუთნიგნეულის და მსაჯულთა ეპოქის იურიდიული კრიტერიუმები?

— გამოსაყენებელი ნამდვილად ბევრია და მთელი რიგი კანონები აგებული მასზეა. როდესაც ისრაელზე ვსაუბრობთ უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი სისტემის განვითარებაში ეს ძირითადი პოსტულატია. რასაკვირველია ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ ძირითადი ცნებები და მიმართულებები იგივე რჩება. ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა ვართ, სადაც შეიქმნა ვახტანგის VI-ის კანონთა კრებული, რომელსაც დღესაც კი განცვიფრებაში მოვყავართ.

— ბატონო ანზორ, გვიამბეთ თქვენს ოჯახზე...

— ჩემი მეუღლეა მანანა ფოცხიშვილი, ამჟამად მისი მთავარი მოვალეობაა ბებუის მოვალეობის შეს-



რულება. მყავს ერთი ქალიშვილი ირმა ისიც იურისტი, უზენაესს სასამართლოში მუშაობდა, ამჟამად კი კერძო სტრუქტურებში აგრძელებს საქმიანობას. სიძე — ზურაბ გაჩეჩილაძე წარმატებული ეკონომისტი. მყავს ორი შვილიშვილი ლიზი და ნიკუშა გაჩეჩილაძეები.

ესაუბრა ნინო შავაძე

პუტინმა და პერესმა „რუსი“ ებრაელების საქმიანი და პოლიტიკური ელიტა შეკრიბეს

25 ივნისს, სალამოს შიმონ პერესის იერუსალიმის რეზიდენციაში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის საპატივსაცემოდ სადღესასწაულო ბანკეტი გაიმართა.

ბანკეტზე დაპატივებული საპატიო სტუმართა შემადგენლობა ადასტურებდა, რომ სისხლისმიერი კავშირი სიონისტურ პროექტსა და რუს ებრაელებს შორის ასი წლის შემდეგაც გაცოცხლდა. პერესის რეზიდენციაში დაახლოებით 100 ადამიანი შეიკრიბა, მათი უმეტესობა „რუსული“ ისრაელის და რუსეთის ებრაელობის პოლიტიკურ და საქმიან ელიტას წარმოადგენდა. მით უმეტეს, ბანკეტზე შეგვეძლოთ გენახათ, თუ როგორ მეგობრულად და კეთილგანწყობით მიმართავდნენ ერთმანეთს დიდი მაგნატები და ებრაული ორგანიზაციების ლიდერები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ერთმანეთის მონივრულად დახვედრები არიან, ბიზნესში ისე დიასპორაში გავლენის მოსაპოვებელ ბრძოლაში.

ამასთან ერთად, მკვეთრად იგრძნობოდა, რომ, რუსი ებრაელებისა და რუსულენოვანი ისრაელელების ამ ნაწილს მაინც საერთო მიზანი ამოძრავებს. ზოგიერთი დამსწრე ინტეგრირებულია როგორც რუსულ, ასევე ისრაელის ეკონომიკაში. სხვები, რომლებიც ბიზნეს საქმიანობას რუსეთში ეწევიან, დიდ თანხებს გასცემენ ისრაელში საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განსახორციელებლად. დანარჩენებმა საკუთარი თავი როგორც „რუსული ისრაელის“, ისევე რუსი ებრაელების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოავლინეს. იმის შესახებ, რომ ეს ეთნოკულტურული საზოგადოება არ არის შემდგარი მხოლოდ ორი ქვეყნისგან — რუსეთისა და ისრაელისგან, შეგახსენებდათ ბანკეტზე დამსწრე დიდი მაგნატები და საზოგადოებრივი მოღვაწეები რუსულ-ებრაული დიასპორიდან აშშ-სა და უკრაინიდან.

სახელოვანი სტუმრების შემადგენლობა ადასტურებდა, რომ რუსი ებრაელობის ორბიტაში როგორც ისრაელში, ასევე დიასპორაში ძველებურად რჩებიან ბუხარელი, ქართველი და მთიელი ებრაელები. ყოველი მათგანს აერთიანებს საბჭოთა

ვადიმ შულმანი, ბენ იაკობი, დავით იაკობაშვილი




კავშირში ყოფნის პერიოდი, რუსული ენა და ისრაელთან კავშირი (თუმცა ყოველი ადამიანი ამას თავისებურად გამოხატავს). ამ სათემოების წარმომადგენლებს შორის გამოირჩეოდნენ: ბუხარელი ებრაელების მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, ისრაელელი მაგნატი — ლევ ლევაივი; ქნესეთის დეპუტატები — რობერტ ილატოვი და იულია შამალოვა-ბერკოვიჩი; დიდი მაგნატები — მიხეილ მირილაშვილი, დავით იაკობაშვილი, გაბრიელ მირილაშვილი, რუსეთის ებრაული სათემოების ფედერაციის პრეზიდენტი — ალექსანდრ ბოროდა, რუსეთის (ФОР) მთავარი რაზინი — ბერლ ლაზარი და რუსეთის მთავარი რაზინი — ადოლფ შავეიჩი.

ალსანიშნავია, რომ „რუსული ისრაელი“ ძირითადად წარმოდგენილი იყო პარლამენტარებით, დიპლომატებით, მაღალჩინოსანი ჩინოვნიკებით. დიასპორიდან კი იმყოფებოდნენ დიდი ბიზნესმენები, საზოგადო და რელიგიური მოღვაწეები.

პირველ კატეგორიაში გამოირჩეოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი — ავიგდორ ლიბერმანი, ტურიზმის მინისტრი — სტას მისეჟნიკოვი, აბსორბციის მინისტრი — სოფა ლანდვერი, საპარლამენტო კოალიციის მდივანი — ზევე ელკინი, ქნესეთის დეპუტატები — ფაინა კირშენბაუმი, ალექს მილერი, რობერტ ილატოვი და იულია შამალოვა-ბერკოვიჩი, სახელმწიფო ბიუროს „ნატივ“ დირექტორი — ნაომი ბენ-ამი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის დეპარტამენტის მეთაური — ანა აზარი, ისრაელის ელჩი რუსეთში — დორით გოლენდერი, აბსორბციის სამინისტროს გენდირექტორი — დიმიტრი აპარცევი, დიასპორისა და ინფორმაციის სამინისტროს გენდირექტორი — რონენ პლოტი, ნაციონალური წყლის კომპანიის „მეკოროტ“ მდივანი — ალექს ვიჟინცერი.

რუსულ ენაზე გამოვიდა...

რუსულ ენაზე გამოვიდა ელდარ მამისტვალიშვილის წიგნი ქართული ებრაელები (სტატიური ნახიდან 1921 წლამდე). იგი გამოიცა დავით ბაზიოვის სახელობის ქართულ ებრაელთა ისტორიის მუზეუმის „მრობები“ VII ტომის ნახით. აღნიშნული წიგნი რამდენიმე წლის წინათ ქართულ ენაზე გამოიცა და საერთო ისტორიის გამოცემის „ქართული ებრაელები“ რუსულ ენაზე თარგმნეს მ. თუშიძემ და მ. ჭიჭიჭაძემ.



დ. ბაზიოვის სახ. ებრაელთა მუზეუმის ეს გამოცემა მთელი მისწავლამდელია, რომ იგი დაკმაყოფილებს ქართული ებრაელების ისტორიით დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებს.

ცხადია, მუზეუმის მდლობა უნდა ვუთხრათ ამ ინიციატივის გამო და იმის იმედიც ვიქონიით, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამ წიგნის ინგლისურ ენაზე გამოცემას იზრუნებენ.

მეუღლე — ირინე მოშიაშვილი, შვილი — ირაკლი აჯიაშვილი, დედა — მზია, მამა — ნუგზარ, და — თინიკო (ბაკუნა) აჯიაშვილები, სიძე — ბესო, დისშვილები — ოთარ და ლიზა გორელაშვილები იუნყებიან

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალებას

ბებია — ნაზიკო, ბაბუა — ამირანი, დეიდა — დოდო, ბიძები — მამუკა, ლოვა, მიხო ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მზია და ნუგზარ აჯიაშვილებს

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო

მარინა და შალვა მოშიაშვილები, ნინო და ელი ენოხები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავსდატეხილი ტრაგედიის —

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო.

მამიდა — ლია, ბიძა — ილია, მამიდაშვილები მურთაზი და ირაკლი მიხელაშვილები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ

მიშიკო აჯიაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ბაია, მარიშკა, გაბრიელ, დათო მირილაშვილები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მშობლებს, მეუღლეს, შვილს.

ბუჭუ, გაბი (ლალია) ელაშვილები, რობერტ და სოლომონ აჯიაშვილები, ოთარ იზრაელაშვილი, ეთერ ხუბელაშვილი, სულიკო ბოთერაშვილი (ისრაელი) ოჯახებით გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო

ნანა, მაია ხუბელაშვილები ოჯახებით გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო

ალა, ინა, იანიკ და სოსო მოშიაშვილები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცილა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, ნათელა, ილო წინუაშვილები, ლანა, გურამ ხარაზიშვილები, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ

მიხეილ (მიშიკო) აჯიაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს